



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ტიფლის ტექსტილი“

(ს/ნ 405173093)

27 ნოემბერი 2025

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	9
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	12
2. მომზადების საფუძვლები	12
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	12
4. საქმიანობის უწყვეტობა.....	21
5. ძირითადი საშუალებები	22
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23-24
7. ფული და ფულის ექვივალენტები	24
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	24
9. მიღებული სესხი	24-25
10. შემოსავალი	25
11. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	25
12. მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	26
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	26
14. საექვო მოთხოვნების რეზერვების წმინდა ხარჯი(-)/შემოსავალი(+)	26
15. არასაოპერაციო შემოსავალი	27
16. არასაოპერაციო ხარჯები	27
17. დაკავშირებული მხარეები	27-28
18. დაკავშირებული მხარეები	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა



შპს „ტაქს ინფო“ (SARAS-F-822418)

KING DAVID ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის ქ. N12,
0193 თბილისი, საქართველო

TaxInfo LLC. (SARAS-F-822418)

King David – Business Center, M.Aleksidze Str. N12,
0193 Tbilisi, Georgia

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ტიფლის ტექსტილის“ (შემდეგში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, აუდიტორული დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ზემოაღნიშნული თარიღით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს 2015“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2024 წლის 31 დეკემბრამდე და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას.

ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2023 და 2024 წლების 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო, 1,912,203 და 1,898,383 ლარის ღირებულებებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარმართავდით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს 2015“) შესაბამისად, ხოლო ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია აუდიტირებული დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები - გაურკვევლობა საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებით

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების N4 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია კომპანიის მიერ 2023-2024 წლებში წმინდა ზარალის წარმოქმნის მიზეზები. როგორც აღნიშნულ შენიშვნაშია განმარტებული, ზარალი ძირითადად გამოწვეულია ამორტიზაციის ხარჯებით, რომლებიც წარმოადგენენ არანაღდ (Non-Cash) ხარჯებს და არ აისახებიან კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობაზე. მენეჯმენტმა დამატებით განმარტა, რომ კომპანიის საოპერაციო საქმიანობა ამორტიზაციის ხარჯების გამოკლებით მომგებიანია და ფულადი ნაკადები საკმარისია მიმდინარე საოპერაციო ხარჯების დასაფარად.

ჩვენი მოსაზრება ხსენებულ გარემოებასთან მიმართებით არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვის შესახებ ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2024 წლის წლიურ მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მს. ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახულ

აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის გრიგოლ ნოზაძე.

გრიგოლი ნოზაძე

შპს „ტაქს ინფო“-ს სახელით

თბილისი, საქართველო


27 ნოემბერი, 2025

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის გრიგოლ ნოზაძე.

გრიგოლი ნოზაძე

შპს „ტაქს ინფო“-ს სახელით
თბილისი, საქართველო
27 ნოემბერი, 2025



შპს "ტიფლის ტექსტილი"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	5,866,426	6,540,427	6,664,388
არამატერიალური აქტივები		4,242	3,864	3,864
		5,870,667	6,544,291	6,668,252
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		1,898,383	1,912,203	2,129,226
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	424,208	353,159	524,135
ფული და ფულის ექვივალენტები	7	1,110,541	1,235,612	1,278,706
		3,433,132	3,500,974	3,932,067
სულ აქტივები		9,303,799	10,045,265	10,600,319
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000	11,510,406
გაუნაწილებელი მოგება		(1,538,204)	(1,274,921)	(1,074,146)
		(1,536,204)	(1,272,921)	10,436,260
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები		-	11,074,406	-
		-	11,074,406	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		12,108	31,102	16,269
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	125,409	212,677	147,790
მიღებული სესხები	9	10,702,486	-	-
		10,840,003	243,780	164,059
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,303,799	10,045,265	10,600,319

 /გიორგი გაჩეჩილაძე/
 დირექტორი

 /ნინო მჭავანაძე/
 მთავარი ბუღალტერი

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის მიერ 2025 წლის 23 ივნისს.

12-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს "ტიფლის ტექსტილი"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	5,866,426	6,540,427	6,664,388
არამატერიალური აქტივები		4,242	3,864	3,864
		5,870,667	6,544,291	6,668,252
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		1,898,383	1,912,203	2,129,226
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	424,208	353,159	524,135
ფული და ფულის ექვივალენტები	7	1,110,541	1,235,612	1,278,706
		3,433,132	3,500,974	3,932,067
სულ აქტივები		9,303,799	10,045,265	10,600,319
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000	11,510,406
გაუნაწილებელი მოგება		(1,538,204)	(1,274,921)	(1,074,146)
		(1,536,204)	(1,272,921)	10,436,260
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები		-	11,074,406	-
		-	11,074,406	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		12,108	31,102	16,269
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	125,409	212,677	147,790
მიღებული სესხები	9	10,702,486	-	-
		10,840,003	243,780	164,059
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,303,799	10,045,265	10,600,319



/გიორგი გაჩეჩილაძე/
დირექტორი

წ. შავაშვიძე

/ნინო მჭავანაძე/
მთავარი ბუღალტერი

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის მიერ 2025 წლის 23 ივნისს.

12-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს "ტიფლის ტექსტილი"

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2024 წელი		2024	2023
	შენ.			
შემოსავალი	10		4,269,978	3,721,324
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11		(3,113,977)	(2,888,897)
საერთო მოგება			1,156,001	832,426
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები	12		(210,194)	(166,589)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13		(861,401)	(841,276)
საექვო მოთხოვნების რეზერვების წმინდა ხარჯი(-))/შემოსავალი(+)	14		226,002	4,787
საოპერაციო მოგება			310,408	(170,652)
არასაოპერაციო შემოსავალი	15		-	111,355
არასაოპერაციო ხარჯები	16		(548,777)	(152,653)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი), ნეტო			(24,913)	11,175
			(573,690)	(30,123)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე			(263,282)	(200,775)
მოგების გადასახადის ხარჯი			-	-
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)			(263,282)	(200,775)

/გიორგი გაჩეჩილაძე/
დირექტორი

/ნინო მჭავანაძე/
მთავარი ბუღალტერი

შპს "ტიფლის ტექსტილი"

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წელი		2024	2023
შენ.			
შემოსავალი	10	4,269,978	3,721,324
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11	(3,113,977)	(2,888,897)
საერთო მოგება		1,156,001	832,426
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები	12	(210,194)	(166,589)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(861,401)	(841,276)
საეჭვო მოთხოვნების რეზერვების წმინდა ხარჯი(-))/შემოსავალი(+)	14	226,002	4,787
საოპერაციო მოგება		310,408	(170,652)
არასაოპერაციო შემოსავალი	15	-	111,355
არასაოპერაციო ხარჯები	16	(548,777)	(152,653)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი), ნეტო		(24,913)	11,175
		(573,690)	(30,123)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(263,282)	(200,775)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		(263,282)	(200,775)



ნ. ჭყავაძე

/ნინო მჭავანაძე/
მთავარი ბუღალტერი

12-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს "ტიფლის ტექსტილი"
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	11,510,406	(1,074,146)	10,436,260
საწესდებო კაპიტალის ზრდა (+) / შემცირება (-)	(11,508,406)	-	(11,508,406)
მოგება (+) / ზარალი (-)	-	(200,775)	(200,775)
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,000	(1,274,921)	(1,272,921)
საწესდებო კაპიტალის ზრდა (+) / შემცირება (-)	-	-	-
მოგება (+) / ზარალი (-)	-	(263,282)	(263,282)
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2,000	(1,538,204)	(1,536,204)

 /გიორგი გაჩეჩილაძე/
 დირექტორი

 /ნინო მჭავანაძე/
 მთავარი ბუღალტერი

შპს "ტიფლის ტექსტილი"
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	11,510,406	(1,074,146)	10,436,260
საწესდებო კაპიტალის ზრდა (+) / შემცირება (-)	(11,508,406)	-	(11,508,406)
მოგება (+) / ზარალი (-)	-	(200,775)	(200,775)
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,000	(1,274,921)	(1,272,921)
საწესდებო კაპიტალის ზრდა (+) / შემცირება (-)	-	-	-
მოგება (+) / ზარალი (-)	-	(263,282)	(263,282)
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2,000	(1,538,204)	(1,536,204)



6. მუჯაბბ
/ნინო მეფანაძე/
მთავარი ბუღალტერი

შპს "ტიფლის ტექსტილი"
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2024	2023
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	4,598,477	3,909,418
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2,155,197)	(1,558,244)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(977,763)	(847,497)
გადახდილი გადასახადები	(656,577)	(600,947)
საბანკო ხარჯები	(17,046)	(16,532)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	791,895	886,199
ძირითადი საშუალებების შეძენა	(245,787)	(431,909)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გასული წმინდა ფულადი სახსრები	(245,787)	(431,909)
საწესდებო კაპიტალის ზრდა (+) / შემცირება (-)	-	(434,000)
გადახდილი სესხის პროცენტები	(519,693)	(51,883)
აღებული (+) / გადახდილი (-) სესხი	(132,406)	-
ფინანსური საქმიანობიდან (გასული) შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	(652,099)	(485,883)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (+) / ზარალი (-)	(19,080)	(11,501)
ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	(125,070)	(43,094)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,235,612	1,278,706
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,110,541	1,235,612

 /გიორგი გაჩეჩილაძე/
 დირექტორი

 /ნინო მჭავანაძე/
 მთავარი ბუღალტერი

შპს "ტიფლის ტექსტილი"
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2024	2023
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	4,598,477	3,909,418
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2,155,197)	(1,558,244)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(977,763)	(847,497)
გადახდილი გადასახადები	(656,577)	(600,947)
საბანკო ხარჯები	(17,046)	(16,532)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	791,895	886,199
ძირითადი საშუალებების შეძენა	(245,787)	(431,909)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გასული წმინდა ფულადი სახსრები	(245,787)	(431,909)
საწესდებო კაპიტალის ზრდა (+) / შემცირება (-)	-	(434,000)
გადახდილი სესხის პროცენტები	(519,693)	(51,883)
აღებული (+) / გადახდილი (-) სესხი	(132,406)	-
ფინანსური საქმიანობიდან (გასული) შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	(652,099)	(485,883)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (+) / ზარალი (-)	(19,080)	(11,501)
ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	(125,070)	(43,094)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,235,612	1,278,706
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,110,541	1,235,612



ნ. ჯუღაშვილი
 /ნინო ჯუღაშვილი/
 მთავარი ბუღალტერი

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ტიფლის ტექსტილი“ (ს/ნ 405173093) (შემდგომში - კომპანია) არის 2016 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის ფაქტობრივი და იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, N81ა

კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ტრიკოტაჟისა და ნაქსოვი წინდების წარმოება

კომპანიის პარტნიორი	31.დეკ.24	31.დეკ.23	31.დეკ.22
გიორგი გაჩეჩილაძე (01008002195)	100.00%	100.00%	100.00%
სულ:	100.00%	100.00%	100.00%

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის დირექტორი იყო გიორგი გაჩეჩილაძე.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი 2015) შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თანხები დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე გარდა სხვაგვარად აღნიშნულისა.

წინამდებარე ანგარიშგება მისი წარდგენის მომენტში არ არის დამტკიცებული კომპანიის პარტნიორ(ებ)ის მიერ პარტნიორთა კრებაზე. კომპანიის პარტნიორ(ებ)ს უფლება აქვს წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, ანგარიშგების გამოშვების შემდგომაც

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. უცხოური ვალუტა (გაგრძელება)

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ფულადი ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2. ძირითადი საშუალებები

3.2.1. აღიარება

კომპანია ძირითად საშუალებად აღრიცხავს 1 000 ლარზე მეტი ღირებულების მატერიალურ აქტივებს, რომლებიც:

(ა) იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და

(ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

(ა) მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს დღე

(ბ) კომპანიისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

3.2 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

3.2.2. შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ძირითადი საშუალებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- ა) ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდგომში.

3.2.3. აღირების შემდგომი შეფასება

კომპანია ძირითადი საშუალებას თავდაპირველი აღიარების შემდგომ აფასებს და აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მოდელი).

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება:

- ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები;
- დ) გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯები, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

3.2 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

3.2.4. ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცვეთის თანხის ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადაზე თანაბრად განაწილებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

- | | |
|----------------------------|---------------|
| • შენობა-ნაგებობები | 30 – 50 წელი; |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 – 10 წელი; |
| • მანქანა დანადგარები | 5 – 10 წელი; |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5 – 10 წელი; |
| • ძალოვანი დანადგარები | 5 - 10 წელი |

ცვეთა არ ერიცხება მიწას.

3.2.5. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს ხომ არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში ამათუილ ძირითადი საშუალების ან/და ძირითადი საშუალებების ჯგუფის გაუფასურება. ასეთის (გაუფასურების) არსებობის შემთხვევაში კომპანია აღიარებს და აფასებს გაუფასურების ზარალს.

3.2.6. აღიარების შეწყვეტა

კომპანია ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს

- (ა) ძირითადი საშუალების გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
- (ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობას ან ზარალს კომპანია ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი (ძირითადი საშუალების) აღიარება შეწყდა.

3.3. არამატერიალური აქტივები

3.3.1. აღიარება

არამატერიალური აქტივის აღიარებას კომპანია ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

3.3. არამატერიალური აქტივები

- (ა) მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა;
- (ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება; და
- (გ) აქტივი შექმნილი არ არის რომელიმე არამატერიალურ ერთეულზე საწარმოს ფარგლებში გაწეული დანახარჯების შედეგად.

3.3.2. თავდაპირველი შეფასება

კომპანია არამატერიალური აქტივის ღირებულების თავდაპირველ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს

- (ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდამთმობებისა და შეღავათების გარეშე; და
- (ბ) უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

3.3.3. აღიარების შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომ კომპანია არამატერიალური აქტივს აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3.3.4. ამორტიზაცია

კომპანია არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3.3.5. გაუფასურება

კომპანია არამატერიალური აქტივის გაუფასურების განსაზღვრას ახდენს 3.2.4. პუნქტში მოცემული პრინციპის შესაბამისად.

3.3. არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

3.3.6. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში;
- ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

აღიარების შეწყვეტით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3.4. მარაგები

3.4.1. აღიარება

კომპანია მარაგად აღრიცხავს ისეთ აქტივს, რომელიც:

- (ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- (ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; ან
- (გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

3.4.2. შეფასება

კომპანია მარაგის შეფასებას ახდენს მარაგის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულებაში შეიტანება მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი, ასევე ისეთი დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

3.4.3. თვითღირებულების ფორმულა

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.4. მარაგები (გაგრძელება)

3.4.4. მარაგის გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა მარაგი. მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების ანაზღაურება. გაუფასურების შემთხვევაში კომპანია მარაგს აფასებს

მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

3.4.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მარაგის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში კომპანია ახდენს მარაგის საბალანსო ღირებულების ხარჯად აღიარებას);
- ბ) სხვა აქტივების ანგარიშებზე მიკუთვნების შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში მარაგზე მოქმედებს იმ აქტივის აღიარება/შეფასების ნორმები, რომლის კომპონენტიც ის გახდა).

3.5. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

3.5.1. აღიარება

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

3.5.2. პირველადი შეფასება

აღიარებისას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეფასებას კომპანია ახდენს გარიგების ფასით.

3.5.3. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

3.5. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

(გაგრძელება)

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანიამ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

3.5.4. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) კომპანია ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.6. საკუთარი კაპიტალი

კომპანია საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს კომპანიის მესაკუთრის მიერ კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და კომპანიაში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრის ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

3.7. ამონაგები

3.7.1. აღიარება

კომპანია საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- (ა) კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3.7.2. ამონაგების შეფასება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების თანხებით.

4. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს რომ კომპანიას უახლოეს მომავალში გადაწყვეტილი არ აქვს თავისი საქმიანობის ლიკვიდაცია ან არსებითი შეკვეცა, რაც თავისმხრივ გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.

2023-2024 წლებში კომპანიამ ფინანსური შედეგი დაამთავრა ზარალით, აღნიშნული ზარალი ძირითადად განპირობებულია მნიშვნელოვანი ამორტიზაციის ხარჯებით, რომლებიც წარმოიქმნა გასულ წლებში შეძენილი გრძელვადიანი აქტივების ამორტიზაციიდან. ამორტიზაცია არის არანაღდი (Non-Cash) ხარჯი და არ ახდენს კომპანიის ფულადი სახრების მოძრაობაზე პირდაპირ გავლენას. მიუხედავად ზარალის დაფიქსირებისა, კომპანიის საოპერაციო საქმიანობა ამორტიზაციის ხარჯების გამოკლებით მომგებიანია (EBITDA პოზიტიურია). ხოლო ფულადი ნაკადები საკმარისია საქმიანობის მიმდინარე საოპერაციო ხარჯების დასაფარად. მენეჯმენტის შეფასებით ზარალი არ წარმოადგენს ფინანსური მდგრადობისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების (Going Concern) რისკს. კომპანია აგრძელებს ნორმალურ ოპერირებას და არ არსებობს გარემოებები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიდა კომპანიის მიერ ვალდებულებების შესრულებლობას.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	მზის ელ სადგური	შენობა - ნაგებობები	მანქანა - დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება								
01.01.2023	645,378	-	2,321,992	6,988,107	175,364	59,428	80,156	10,270,425
შემოსვლა	-	459,793	-	-	223,357	6,138	2,004	691,292
გასვლა	-	-	-	-	(164,964)	-	-	(164,964)
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	645,378	459,793	2,321,992	6,988,107	233,757	65,566	82,160	10,796,753
ისტორიული ღირებულება								
01.01.2024	645,378	459,793	2,321,992	6,988,107	233,757	65,566	82,160	10,796,753
შემოსვლა	-	167,982	-	3,008	-	37,304	-	208,294
გასვლა	-	-	-	(150,489)	-	-	-	(150,489)
ისტორიული ღირებულება 31.12.2024	645,378	627,775	2,321,992	6,840,626	233,757	102,870	82,160	10,854,558
დაგროვილი ცვეთა 01.01.2023	-	-	192,664	147,481	157,828	38,446	50,182	3,606,037
ცვეთა	-	26,370	46,440	3,166,917	26,781	7,011	6,857	812,270
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	(161,981)	-	-	(161,981)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	-	26,370	239,104	3,865,728	22,627	45,458	57,039	4,256,326
დაგროვილი ცვეთა 01.01.2024	-	26,370	239,104	3,865,728	22,627	45,458	57,039	4,256,326
ცვეთა	-	39,098	46,448	687,572	24,416	6,306	6,517	810,357
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	(78,551.24)	-	-	-	(78,551.24)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	-	65,468	285,552	4,474,749	47,043	51,764	63,556	4,988,132
საბალანსო ღირებულება								
01.01.2023	645,378	-	2,129,328	3,821,190	17,537	20,982	29,974	6,664,388
საბალანსო ღირებულება 31.12.2023	645,378	433,423	2,082,888	3,122,379	211,130	20,108	25,121	6,540,427
საბალანსო ღირებულება 31.12.2024	645,378	562,307	2,036,440	2,365,877	186,713	51,106	18,604	5,866,426

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	403,124	596,470	701,102
გადახდილი ავანსები	53,334	14,942	86,072
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვები	(32,251)	(258,253)	(263,040)
	424,208	353,159	524,135

არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	< 30	31-60	61-90	91-180	180-360	>360	Total
პროცენტულობა	-	2	5	25	50	100	
ვადაგადაცილებული თანხა	138,843	-	-	-	842	31,830	171,515
	-	-	-	-	(421)	(31,830)	(32,251)

არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	< 30	31-60	61-90	91-180	180-360	>360	Total
პროცენტულობა	-	2	5	25	50	100	
ვადაგადაცილებული თანხა	138,139	160,238	34,118	13,925	380	249,671	596,470
	-	(3,205)	(1,706)	(3,481)	(190)	(249,671)	(258,253)

* კომპანია იყენებს სავაჭრო მოთხოვნების გამარტივებულ დარეზერვების მოდელს, რომელიც დაფუძნებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადაგადაცილების ხანგრძლივობაზე. რეზერვების გაცხადება ხდება იმ ოდენობით, რაც მენეჯმენტის შეფასებით ასახავს მოთხოვნების შესაძლო დაუფარებლობის რეალისტურ დონეს. პოლიტიკა შეესაბამება IFRS For SMEs მე-11 თავს. სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი ფორმირდება შემდეგი პრინციპით: 0-30 დღე - 0% (მოთხოვნა არ ითვლება სარისკოდ), 31-60 - 2% (მცირე დამატებითი რისკი, თუმცა გადახდის მაღალი ალბათობა), 61-90 - 5% (მოთხოვნის დაფარვის საშუალო რისკი), 91-180 - 25% (მოთხოვნის დაფარვის მნიშვნელოვანი გაურკვევლობა), 180-360 - 50% (მოთხოვნის დაფარვის მაღალი რისკი), 360-ზე მეტი - 100% (მოთხოვნა პრაქტიკულად ამოუღებლად მიიჩნევა).

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

** მოთხოვნების ჯგუფური შეფასება ეფუძნება კომპანიის ისტორიულ გამოცდილებას. რეზერვის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშში, როგორც საექვო მოთხოვნების ხარჯი, ხოლო შესაბამისი თანხა აკუმულირდება, როგორც საექვო რეზერვი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირების სახით. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს მოდელის გადხედვას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი შესაბამისობა მიმდინარე საბაზრო და საკრედიტო რისკებთან.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,047,027	920,523	1,090,025
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	59,640	304,978	186,293
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3,875	10,111	2,388
	1,110,541	1,235,612	1,278,706

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
გადასახდელი პროცენტები*	94,272	92,540	-
კრედიტორული დავალიანება	22,480	90,918	112,916
მიღებული ავანსები	6,096	29,220	-
დარიცხული ხელფასები	2,561	-	34,874
	125,409	212,677	147,790

* კომპანიის მოკლევადიან სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ასახულია პარტნიორის (დამფუძნებლის) მიმართ გადასახდელი სესხის პროცენტის თანხა. აღნიშნული პროცენტი უკავშირდება პარტნიორის მიერ კომპანიისთვის მიცემულ სესხს. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 5%-ს.

9. მიღებული სესხები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
სესხები პარტნიორისგან*	10,702,486	-	-
	10,702,486	-	-

9. მიღებული სესხები (გაგრძელება)

* პარტნიორისგან აღებული სესხის თავდაპირველი აღიარება მოხდა ნომინალური ღირებულებით. 2024 წლის ანგარიშგების მომზადების დასრულებამდე (2025 წლის ივნისი), საზოგადოების პარტნიორმა სასესხო მოთხოვნა (სესხის ძირითადი თანხა) შეიტანა კომპანიის კაპიტალში, ე.ი. სესხი კონვერტირდა კომპანიის კაპიტალად. აღნიშნულმა მოვლენამ ნულამდე შეამცირა სახელშეკრულებო და საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობის გავლენა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებზე. სწორედ ამიტომ, სახელშეკრულებოსა და საბაზრო საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობები არ შეფასდა არსებითად IFS for SMEs-ის 10-ე თავის შესაბამისად და სესხი ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხა ნომინალური ღირებულებით.

** სესხის დაფარვის ვადად სასესხო ხელშეკრულებაში მითითებული იყო - 2030 წლის 31 დეკემბერი, თუმცა სასესხო ხელშეკრულება შეწყდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ (2025 წლის ივნისი) ანგარიშგების მომზადების დასრულებამდე, რის გამოც მენეჯმენტმა სასესხო ვალდებულება დააკლასიფიცირა მოკლევადიან სასესხო ვალდებულებად.

*** სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ - 5%-ს.

10. შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი რეალიზიციიდან*	2,128,521	2,132,659
შემოსავალი რეალიზაციიდან (ექსპორტი)*	2,009,656	1,487,148
შემოსავალი იჯარიდან	131,801	101,516
	4,269,978	3,721,324

* კომპანიის შემოსავალი ძირითადად ფორმირდება კომპანიის მიერ წარმოებული საქონლის (წინდების) გაყიდვიდან.

11. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023
მასალა-ნედლეულის დანახარჯები	1,524,342	1,355,362
შრომის ანაზღაურება	857,636	725,756
ცვეთა და ამორტიზაცია	668,436	732,691
კომუნალური ხარჯები	63,564	75,088
	3,113,977	2,888,897

12. მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები

	2024	2023
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	118,385	83,660
ტრანსპორტირების ხარჯები	91,809	82,929
	210,194	166,589

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	387,433	322,052
საიჯარო ქირა	93,888	84,000
რემონტის დანახარჯები	59,013	42,467
ცვეთა და ამორტიზაცია	55,214	58,625
საგადასახადო ხარჯი	54,657	72,260
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	53,423	52,796
საპენსიო გადასახადი	21,263	16,934
ბანკის საკომისიო	17,365	17,179
სხვა საერთო ხარჯი	119,145	174,964
	861,401	841,276

14. საექვო მოთხოვნების რეზერვების წმინდა ხარჯი(-)/შემოსავალი(+)

	2024	2023
საექვო მოთხოვნების რეზერვი პერიოდის დასაწყისში	(258,253)	(263,040)
საექვო მოთხოვნების რეზერვი პერიოდის ბოლოს	(32,251)	(258,253)
	226,002	4,787

* საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ განახორციელა წინა წლებში საექვოდ კლასიფიცირებული მოთხოვნების რეალიზაცია კომპანიის პარტნიორზე (დაკავშირებულ მხარეზე) ნომინალური ღირებულებით. აღნიშნული ოპერაციის შედეგად: ა. წინა წლებში დარეზერვებული მოთხოვნები ჩამოიწერა ბ. საექვო მოთხოვნების რეალიზაციამ გამოიწვია რეზერვების არსებითი შემცირება, რეზერვების შემცირების შედეგად, არსებითი თანხა აისახა კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშში შემოსავლის სახით (საექვო მოთხოვნების რეზერვის აღდგენა). მენეჯმენტის შეფასებით, მოთხოვნების რეალიზაციამ არსებითად იმოქმედა რეზერვების ნაშთზე.

ოპერაცია განხორციელდა დაკავშირებულ მხარესთან და აღნიშნული გამჟღავნებულია, როგორც დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციები. ოპერაციას კომპანიის ფულად ნაკადებსა და საქმიანობის გაგრძელების უნარზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია.

15. არასაოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	-	110,777
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	578
	-	111,355

16. არასაოპერაციო ხარჯები

	2024	2023
საპროცენტო ხარჯები	548,777	147,153
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	5,500
	548,777	152,653

* პარტნიორისგან აღებულ სესხზე დარიცხული პროცენტის თანხები. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 5%-ს.

17. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი, ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (ბ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

17. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-12-2024	31-12-2023
პარტნიორი კომპანია	3	2,309
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	3	2,309
 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	 31-12-2024	 31-12-2023
პარტნიორი კომპანია	30,960	17,461
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	30,960	17,461
 შემოსავალი	 2024	 2023
პარტნიორი კომპანია	121,462	109,283
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	121,462	109,283
 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	 2024	 2023
პარტნიორი კომპანია	71,841	62,914
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	71,841	62,914
 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	 2024	 2023
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები	548,777	147,153
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	548,777	147,153
 დასაქმებულთა ანაზღაურება	 2024	 2023
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები	3,300	3,300
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	3,300	3,300

18. პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2025 წლის ივნისის თვეში, კომპანიის პარტნიორის გადაწყვეტილებით, დამფუძნებლის სასესხო მოთხოვნა (სესხის ძირითადი თანხა) კომპანიის მიმართ, შეტანილი იქნა კომპანიის კაპიტალში. ე.ი. ანგარიშგებაში სასესხო ვალდებულებად ასახული თანხა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების მომზადების დასრულებამდე, კონვერტირდა კომპანიის კაპიტალად.



თიფლისტექსი

TIFLISTEX

თიფლისტექსი

თიფლისტექსი

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა



ფაქტები კომპანიის შესახებ



კომპანიის დასახელება:

შპს „ტიფლის ტექსტილი“

რეგისტრაციის თარიღი:

28 ოქტომბერი 2016 ს/ნ 405173093

საწარმოს იურიდ./ფაქტ. მისამართი:

საქართველო, თბილისი,
სამგორის რაიონი, გრიგოლ
ლორთქიფანიძის ქუჩა, N81ა

დაქირავებულ პირთა რაოდენობა:

58

დარგი:

ტრიკოტაჟის და ნაქსოვი წინდების წარმოება

მთლიანი აქტივების ღირებულება:

9 მლნ ლარზე მეტი

კომპანიის პარტნიორი (100%-იანი წილი) :

გიორგი გაჩეჩილაძე 01008002195

საწარმოს დირექტორი:

გიორგი გაჩეჩილაძე 01008002195



საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტრიკოტაჟისა და ნაქსოვი წინდების წარმოება. კომპანიის მთლიანმა შემოსავალმა 2024 წელს გადააჭარბა - 4 მლნ ლარს.

კომპანიის მთლიანი აქტივები 31.12.2024 წლის მდგომარეობით აჭარბებს - 9 მლნ. ლარს, მ.შ. ძირითად საშუალებებში განხორციელებული ინვესტიციები აჭარბებს - 6 მლნ. ლარს.

2024 წელს კომპანიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ გადააჭარმა 650 ათას ლარს.



პროდუქციის ხარისხის კონტროლი

შპს „ტიფლის ტექსტილი“ არის წინდების მწარმოებელი კომპანია, რომელიც პასუხობს ხარისხის ევროპულ სტანდარტებს. თანამედროვე აღჭურვილობითა და კვალიფიციური კადრების ძალისხმევით, იქმნება კომფორტული, თანამედროვე და ხარისხიანი წინდები.



სამუშაო გარემო

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ადამიანური რესურსების განყოფილებისათვის დასმულ მთავარ დავალებას წარმოადგენს კომპანიაში სამუშაო გარემოს მუდმივი გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა.

კომპანიაში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობამ 2024 წელს შეადგინა - 58 პირი.



ადამიანური რესურსების განყოფილების მიერ მუდმივად ხდება შრომითი უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის მუდმივი მონიტორინგი. ადამიანური რესურსების განყოფილება კომპანიაში დასაქმებულ პირებს პერმანენტულად აწვდის ინფორმაციას საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მათი უფლებების შესახებ.



ეკოლოგიური პოლიტიკა

კომპანიის ეკოლოგიური პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს ზოგადი პოლიტიკის ნაწილს, მთლიანად მიმართულია კომპანიის საქმიანობით გარემოზე ზემოქმედების შემცირებისა და ამ ზემოქმედების თავიდან აცილებისაკენ. ეკოლოგიური პოლიტიკა ასევე მოიცავს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პოლიტიკას.



კომპანია დროულად ასრულებს ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კომპანიის ხელმძღვანელობა დამატებით ცდილობს ზუსტად დაიცვას გარემოსდაცვის კუთხით ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი დირექტივები და სტანდარტები.



მომავლის ხედვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შპს „ტიფლის ტექსტილი“ არის წინდების მწარმოებელი კომპანია, რომელიც პასუხობს ხარისხის ევროპულ სტანდარტებს. კომპანიის სამომსავლო გეგმები მოიცავს, წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტის კიდევ უფრო გაფართოებას. რაც გამოიწვევს როგორც ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ისე ექსპორტის მაჩვენებლების ზრდას.

მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია

01 აპრილი 2025

შპს „ტიფლის ტექსტილ“-ის
დირექტორი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შპს „ტიფლის ტექსტილი“ არის წინდების მწარმოებელი კომპანია, რომელიც პასუხობს ხარისხის ევროპულ სტანდარტებს. კომპანიის სამომსავლო გეგმები მოიცავს, წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტის კიდევ უფრო გაფართოებას. რაც გამოიწვევს როგორც ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ისე ექსპორტის მაჩვენებლების ზრდას.

მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია

01 აპრილი 2025

შპს „ტიფლის ტექსტილ“-ის
დირექტორი

